

აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

საზოგადოებრივ მეცნიერებათა
ფაკულტეტი



ეკონომიკის დეპარტამენტი

ს ა დ ო ქ ტ ო რ ო პ რ ო გ რ ა მ ა

ფინანსები, ფულის მიმოქცევა და კრედიტი

მიმართულება: ბიზნესი და მართვა

ქუთაისი 2008

პროგრამის სათაური:

ფინანსები, ფულის მიმოქცევა და კრედიტი

მეცნიერების დარგი:

ეკონომიკის მეცნიერებები

მიმართულება:

ბიზნესი და მართვა

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი

Doctor of Economics

პროგრამის განმახორციელებელი ფაკულტეტი და სტრუქტურული ერთეული:

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტი;

ეკონომიკის დეპარტამენტი

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:

პროგრამის მიზანი:

სადოქტორო პროგრამის ზოგადი მიზანია: მაღალკვალიფიციური, დეიდოლოგიზირებული მეცნიერ-მკვლევარის ჩამოყალიბება, რაც მიიღწევა დოქტორანტებისათვის ფინანსურ და ფულად-საკრედიტო ურთიერთობათა სფეროებში მიმდინარე პროცესების ანალიზის, ტენდენციების გამოვლენის, მომავალი განვითარების პერსპექტივების პროგნოზირების შესაძლებლობების გამომუშავებითა და შემოქმედებითი, ნოვატორული იდეების გენერაციისა და რეალიზაციისათვის საკმარისი ანალიტიკური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება-განვითარებით.

ძირითადი მიზნის მიღწევისათვის პროგრამის განხორციელების პროცესში წყდება შემდეგი კონკრეტული ამოცანები:

- მეცნიერული კვლევის თანამედროვე მეთოდების და ხერხების დაუფლება და შესაბამისი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება-განვითარება;
- ეკონომიკურ მეცნიერებათა მიმართულებით დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევების განხორციელების შესაძლებლობების გაღრმავება;
- სამეცნიერო-ანალიტიკური უნარის განვითარება;
- პედაგოგიური მუშაობის თეორიული ასპექტების ცოდნის გაღრმავება და საფინანსო-ეკონომიკურ დისციპლინათა სწავლების პრაქტიკული გამოცდილების დაგროვება;
- თანამედროვე ლიტერატურაზე და სხვადასხვა წყაროებზე მუშაობის და ინტერნეტის გამოყენების უნარების განვითარება;
- თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებისა და კონკრეტული საფინანსო-ეკონომიკური პრობლემების დაძლევის შესაძლებლობების განვითარება;

- წამყვან სამეცნიერო გამოცემებთან მეცნიერული კონტაქტების დამყარების (მათ შორის საზღვარგარეთ) და სამეცნიერ-პრაქტიკულ კონფერენციებში, დისკუსიებში, დებატებში და ა.შ. მონაწილეობის უნარის განვითარება;
- პრეზენტაციის ხელოვნების დახვეწა და სრულყოფა;
- კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარება;
-

მოსალოდნელი შედეგები:

პირებს, რომლებსაც წინამდებარე პროგრამის საფუძველზე მიენიჭებათ დოქტორის აკადემიური ხარისხი ეკონომიკაში, შესძლებენ:

- საფინანსო-ეკონომიკური სამეცნიერო პრობლემატიკის შესახებ საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენას და დასაბუთებას შესაბამისი ცოდნითა და ლოგიკით;
- ეკონომიკურ, განსაკუთრებით ფინანსურ და ფულად-საკრედიტო ურთიერთობათა, სფეროებში მიმდინარე მოვლენების ანალიზს, მიღებული შედეგების შეჯერებას და სინთეზს, განზოგადებული დასკვნების გაკეთებას და მათ ევალუაციას;
- საქართველოში ფინანსურ და ფულად-საკრედიტო ურთიერთობათა სფეროებში განხორციელებადი ცვლილებების, რეფორმების მიმდინარეობის შეფასებასა და მოვლენათა განვითარების პროგნოზირებას;
- სახელმწიფოს ფინანსური, ფისკალური თუ ფულად-საკრედიტო პოლიტიკების მეცნიერულ შეფასებას, მათი სრულყოფის გზების დასახვას;
- ეკონომიკის სტრუქტურული ტრანსფორმაციის პროცესში მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევისათვის აუცილებელი გარემო პირობების განსაზღვრას და მასში ფინანსური და ფულად-საკრედიტო სფეროების მნიშვნელობის გამოკვეთას;
- ფინანსურ და ფულად-საკრედიტო ურთიერთობების რეგიონული თავისებურებების განსაზღვრას, მათ დიფერენცირებას, გამოთანაბრების პოლიტიკის ფორმირებისა და მართვის ეფექტურობის ზრდის შესახებ მეცნიერული დასკვნების გაკეთებას, განზოგადებას და პრაქტიკული რეალიზაციის გზების დასახვას;
- სახელმწიფო თუ რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამების ფორმირებისა და რეალიზაციის პროცესში მონაწილეობას;
- საერთაშორისო ფინანსურ ურთიერთობებში საქართველოს ადგილისა და როლის განსაზღვრას, სწორ შეფასებას და მომავლის პერსპექტივების ჩამოყალიბებას;
- მეცნიერული კვლევების წარმართვას, როგორც დამოუკიდებლად, ისე გუნდში;
- სასწავლო-პედაგოგიურ და სამეცნიერო მოღვაწეობას უმაღლეს სასწავლებლებში და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში;

კურსდამთავრებულის დარგობრივი კვალიფიკაცია პროგრამის გავლის შემდეგ:

სადოქტორო პროგრამის დასრულების შემდეგ ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი მაღალკვალიფიციური მეცნიერ-ეკონომისტი, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე ცოდნით, უნარ-ჩვევებით, ფლობს თანამედროვე ინსტრუმენტების გამოყენებით ეკონომიკური ანალიზისა და პროგნოზირების უნარს, შეუძლია კრეატიული აზროვნება და ინოვაციური საქმიანობის წარმართვა, მონაწილეობს ეკონომიკური, ფინანსური, ფისკალური, ფულად-საკრედიტო, საინვესტიციო და სხვა პოლიტიკების შემუშავებისა და განხორციელების ცალკეულ ეტაპებში, აფასებს მათ მიმდინარეობასა და შედეგებს, შეუძლია პედაგოგიურ-სამეცნიერო მუშაობის წარმართვა უმაღლეს სასწავლებლებში.

კომპეტენცია და უნარ-ჩვევები:

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის კვალიფიკაცია „ფინანსები, ფულის მიმოქცევა და კრედიტი“ განისაზღვრება მისი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციებით.

ზოგადი კომპეტენციების მოთხოვნებს შეესაბამება პიროვნება რომელიც:

- გააჩნია დარგის/დისციპლინის სისტემური ცოდნა და დახელოვნებულია დარგთან ასოცირებული კვლევის მეთოდებში;
- გააჩნია კვლევის პროცესის გააზრების, დაგეგმვის, განხორციელებისა და ადაპტირების მეცნიერული ერთიანობის უნარი;
- ორიგინალური კვლევების მეშვეობით შეაქვს საკუთარი წვლილი დარგის განვითარებაში, რომელიც აფართოებს ცოდნის საზღვრებს და აისახება ეროვნულ ან საერთაშორისო რეფერირებად გამოცემებში;
- შეუძლია ახალი, კომპლექსური იდეების კრიტიკული ანალიზი და შეფასება;
- შეუძლია თავის სფეროში კომუნიკაცია კოლეგებთან, მეცნიერთა ფართო წრეებთან და ზოგადად საზოგადოებასთან;
- ცოდნაზე დაფუძნებულ საზოგადოებაში აკადემიურ და პროფესიულ კონტექსტში შეუძლია ხელი შეუწყოს ტექნოლოგიურ, სოციალურ და კულტურულ წინსვლას.

დარგობრივი კომპეტენციის მიხედვით, პროგრამის დასრულების შემდეგ, სპეციალობით „ფინანსები, ფულის მიმოქცევა და კრედიტი“, კურსდამთავრებულებმა უნდა შესძლონ:

- თავის საქმიანობაში გამოიყენონ კვლევის თანამედროვე მეთოდები და ხერხები;
- მეცნიერულ კვლევებში ფართოდ გამოიყენონ ეკონომიკური თეორიის, სტატისტიკური, ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდები და მოდელები;
- ჩამოაყალიბონ და გაანალიზონ კორპორაციის ფინანსური პრობლემა და დასახონ მისი დაძლევის გზები;
- მოახდინონ კორპორაციათა საქმიანობის შემოწმება, დასახონ მათი ფინანსური გაჯანსაღების პრიორიტეტული მიმართულებები, შეიმუშაონ კონკრეტული კონსულტაციური ხასიათის პროგრამები;

- სრულყოფილი ორგანიზაციებისა და მათი ფინანსური და ფულად-საკრედიტო ურთიერთობების ფუნქციონალური არეალი;
- განსაზღვრონ მაკრო და მიკროეკონომიკური ფაქტორების ზეგავლენა ბიზნესების ფინანსურ საქმიანობაზე და შეიმუშაონ შესაბამისი სტრატეგიები;
- სრულად აღიქვან შესაბამისი საფინანსო-საგადასახადო სამართლებრივი გარემოს მოთხოვნები და მოახდინონ საქმიანობის მიმართვა მის შესაბამისად;
- დაამყარონ კონტაქტები უცხოელ პარტნიორებთან და იფუნქციონირონ გლობალურ ფინანსურ ურთიერთობათა გარემოში;
- ასწავლონ ფინანსები, ფულის მიმოქცევა და კრედიტის მიმართულების შესაბამისი დისციპლინები სწავლების თანამედროვე მოთხოვნების გამოყენებით;

დასაქმების სფეროები:

ეკონომიკის დოქტორს, სპეციალობით „ფინანსები, ფულის მიმოქცევა და კრედიტი“, წარმატებით შეეძლება დასაქმება, როგორც საჯარო მართვის, ისე ბიზნეს და არასამთავრობო სექტორებში. აგრეთვე, საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკურ ორგანიზაციებში, საკონსულტაციო ცენტრებში, ფინანსურ ინსტიტუტებში, სამეცნიერო-კვლევით და უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში.

სახელმწიფო სექტორიდან ეკონომიკის დოქტორის დასაქმების სავარაუდო სტრუქტურებად შეიძლება მოაზრებულ იქნას შემდეგი:

- საქართველოს ფინანსთა სამინისტრო და მისი რეგიონული რგოლები;
- საქართველოს ეროვნული ბანკი და მისი რეგიონული რგოლები;
- საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო და მისი რგოლები;
- საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია;
- საქართველოს პარლამენტის აპარატი;
- საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაცია;
- საქართველოს თვითმმართველი ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების მმართველობითი ორგანოები;

პროგრამის სასწავლო კომპონენტის აღწერა:

ეკონომიკაში დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად დოქტორანტმა უნდა დააგროვოს 180 კრედიტი. სადოქტორო პროგრამა აერთიანებს სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტებს.

სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი მოიცავს:

- საუნივერსიტეტო საგნებს;
- ზოგადეკონომიკურ საგნებს;
- სპეციალურ საგნებს;

სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი მოიცავს:

- სპეციალურ სემინარებსა და კოლოქვიუმებს;
- სამეცნიერო ნაშრომების დაწერასა და გამოქვეყნებას;
- სადოქტორო ნაშრომის დაწერას და დაცვას;

სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა:

№	საგნის დასახელება	სტატუსი	კრედიტი სემესტრებში					
			I	II	III	IV	V	VI
I. სასწავლო კომპონენტი (60 კრედიტი)			20	20	10	5	5	
I.1	საუნივერსიტეტო საგნები:		5	5	5			
I.1.1	ეკონომიკის სწავლების და კვლევის თანამედროვე მეთოდები	სავალდ.	5					
I.1.2	პედაგოგიური პრაქტიკა	სავალდ.		5	5			
I.2	ზოგადეკონომიკურ საგნები:		5	5				
I.2.1	რეგიონული ეკონომიკა და ეკონომიკური პოლიტიკა	სავალდ.	5					
I.2.2	ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდები და მოდელები	არჩევ.		5				
I.2.3	ეკონომიკურ-სტატისტიკური ანალიზი და პროგნოზირება	არჩევ.		5				
I.3	სპეციალური საგნები:		10	10	5	5	5	
I.3.1	სპეციალური სავალდებულო საგნები:							
I.3.1.1	ფინანსური ეკონომიკა	სავალდ.	5					
I.3.1.2	ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა	სავალდ.		5				
I.3.1.3	ეკონომიკური და ფინანსური რისკების მართვა	სავალდ.			5			
I.3.1.4	პორთფელური ინვესტიციები და კორპორაციათა საინვესტიციო პოლიტიკა	სავალდ.				5		
I.3.1.5	ფინანსური ბაზრები და ფინანსურ ურთიერთობათა გლობალიზაცია	სავალდ.					5	
I.3.2	სპეციალური არჩევითი საგნები:¹		5	5				
№	სამეცნიერო აქტივობა		კრედიტი სემესტრებში					
			I	II	III	IV	V	VI
II. კვლევითი კომპონენტი (120 კრედიტი)			10	10	10	15	20	55
II.1	კვლევისათვის აუცილებელი უახლესი სასწავლო ლიტერატურის და წყაროების გაცნობა		10	5	5	5		
II.2	სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება და კონფერენციებში მონაწილეობა			5	5	5	5	
II.3	სადოქტორო დისერტაციის შესრულების მიმდინარეობის და კვლევის შედეგების პრეზენტაცია შესაბამის სამეცნიერო სემინარებზე					5	5	5 ²
II.4	სადოქტორო ნაშრომის წინასწარი განხილვა - აპრობაცია სამეცნიერო სემინარზე							5
II.5	სადოქტორო ნაშრომის შესრულება და დაცვა. მათ შორის:						10	50

¹ ჩამონათვალის დაზუსტება მოხდება ცალკეული ინდივიდუალური სადოქტორო პროგრამის მიხედვით

² ამ დროს ხდება სადოქტორო ნაშრომის წინასწარი განხილვა - აპრობაცია.

II.5.1	დისერტაციის ექსპერტიზა							10	
II.5.2	დისერტაციის რევენზირება								20
II.5.3	დისერტაციის დაცვა								30
სულ სადოქტორო პროგრამით			30	30	20	20	25	55	

პროგრამაზე ჩარიცხვისათვის აუცილებელი განსაკუთრებული პირობები:

სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის მინიმალური მოთხოვნებია: მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული დიპლომირებული სპეციალისტის აკადემიური ხარისხი. გარდა ამისა, ინგლისური, გერმანული ან ფრანგული ენის ცოდნა B2 დონეზე.

ამასთან, კონკრეტული პირობები განსაზღვრულია აწსუ აკადემიური საბჭოს 2007 წლის 5 სექტემბრის №1 დადგენილებით „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში დოქტორანტურის წარმართვის ძირითადი პრინციპების განსაზღვრის შესახებ“ (იხ. <http://www.atsu.edu.ge/index.html>)

პროგრამის გავლის წესები განსაზღვრულია აწსუ საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტის „დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს“ დებულებით. (იხ. <http://www.atsu.edu.ge/geo/siaxleebi/sazogad mecn fakult.doqt debuleba.pdf>)

დოქტორანტების მისაღები შესაძლო ოდენობა:

ეკონომიკის დეპარტამენტის აკადემიური და მატერიალური პოტენციალის გათვალისწინებით „ფინანსები, ფულის მიმოქცევა და კრედიტის“ სადოქტორო პროგრამაზე დოქტორანტების მისაღები ოდენობა შეიძლება განისაზღვროს ხუთით.

სამეცნიერო კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აღწერა:

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მოიცავს:

- აწსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკა;
- ქუთაისის სამეცნიერო უნივერსალური ბიბლიოთეკა;
- ქუთაისის სახელმწიფო არქივი;
- საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკა;
- ეკონომიკის დეპარტამენტის ბიბლიოთეკა;
- პროგრამის ხელმძღვანელის და პროგრამაში განხორციელებაში ჩართული პირების პირადი ბიბლიოთეკა;
- ეკონომიკის დეპარტამენტის სასწავლო-პრაქტიკული ლაბორატორია;

ლაბორატორია აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით, რაც დოქტორანტებს მისცემს საშუალებას ისარგებლონ ინტერნეტ-რესურსებით, დაამუშაონ სტატიები და სამეცნიერო ნაშრომები, მოახდინონ საკუთარი სადოქტორო ნაშრომების კომპიუტერული დამუშავება, მოამზადონ და მოაწიონ პრეზენტაციები და ა.შ.

გარდა აღნიშნულისა, აწსუ აღჭურვილია საკმარისი სასწავლო კაბინეტებით, საკონფერენციო და სხდომათა დარბაზებით, თანამედროვე კომპიუტერებით, საინფორმაციო საშუალებებზე ხელმისაწვდომობით, რაც განაპირობებს დოქტორანტთა სასწავლო და სამეცნიერო პროცესების სათანადო დონეზე წარმართვას.

პროგრამის განმახორციელებელი ძირითადი აკადემიური პერსონალი

№	პიროვნება	შენიშვნა
1	გიორგი ღავთაძე	აწსუ სრული პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი
2	ნიკოლოზ ჩიხლაძე	აწსუ სრული პროფესორი
3	ნანა შონია	აწსუ ასოც. პროფესორი
4	თინათინ გუგუშაშვილი	აწსუ ასოც. პროფესორი
5	იაკობ მესხია	მოწვეული, თსუ სრული პროფესორი
6		

სადისერტაციო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები:

სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო შეფასება ხდება შემდეგი სისტემით:

- ა) ფრიადი (summa cum laude) - შესანიშნავი ნაშრომი;
- ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
- გ) კარგი (cum laude) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
- დ) საშუალო (bene) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს;
- ე) დამაკმაყოფილებელი (rite) - შედეგი, რომელიც ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;
- ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficienter) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს;
- ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

სადისერტაციო ნაშრომის შეფასების მეთოდოლოგია

- ა) კომისიის თითოეული წევრი სადისერტაციო ნაშრომს აფასებს ზემოთმოყვანილი სისტემით;
- ბ) სადისერტაციო კომისიის წევრთა შეფასებებს შეესაბამებათ რიცხვები 1-დან 7-მდე, შესაბამისობის შემდეგი სქემით: 1-"სრულიად არადამაკმაყოფილებელი", 2-"არადამაკმაყოფილებელი", 3 -"დამაკმაყოფილებელი" , 4 - " საშუალო", 5 - "კარგი" , 6 - "ძალიან კარგი" , 7 - "ფრიადი" ;
- გ) გამოითვლება აღნიშნული რიცხვების საშუალო არითმეტიკული E_0 ;
- დ) E განისაზღვრება, როგორც E_0 -თან უახლოესი ნატურალური რიცხვი (თუ E_0 არის $n,5$ სახის, მაშინ E განისაზღვრება $n+1$ -ის ტოლად);
- ე) საბოლოო შეფასება არის E რიცხვის შესაბამისი შეფასება ბ) პუნქტში მოცემული სქემის მიხედვით, თუ კომისიის წევრთა არანაკლებ $2/3$ -ისა ნაშრომს შეაფასებს დადებითად (ე.ი. არ შეაფასებს "სრულიად არადამაკმაყოფილებელი" - ით ან "არადამაკმაყოფილებელი" - ით);
- ვ) საბოლოო შეფასება არის „არადამაკმაყოფილებელი“, თუ კომისიის წევრთა $1/3$ - ზე მეტი ნაშრომს შეაფასებს უარყოფითად და $E \geq 2$;
- ზ) საბოლოო შეფასება არის „სრულიად არადამაკმაყოფილებელი“, თუ კომისიის წევრთა $1/3$ მეტი ნაშრომს შეაფასებს უარყოფითად და $E = 1$.